

ჰიპერბილირუბინემიის მართვა
ახალშობილ ბავშვებში,
რომელთა ბუსტაცისური ასაკი 35 და
მეტი კვირაა

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „ჰიპერბილირუბინემიის მართვა ახალშობილ ბავშვებში, რომელთა გესტაციური ასაკი 35 და მეტი კვირაა“ მიღებულია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს 2007 წლის 21 მარტის №1 სხდომაზე და დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 აგვისტოს № 258/ო ბრძანებით.

ჰიპერბილირუბინემიის მართვა ახალშობილ ბავშვებში, რომელთა ბესტაციური ასაკი 35 და მეტი კვირასა

1. დაავადების დეფინიცია, სინონიმები, კლასიფიკაცია და ტერმინოლოგია

ახალშობილთა სიყვითლე ახალშობილის კანის და სკლერების ყვითელი შეფერილობაა, რაც განპირობებულია ქსოვილებში ბილირუბინის ჩალაგებით.

ჰიპერბილირუბინემიად მიჩნეულია სისხლის შრატში ბილირუბინის შემცველობის მატება $85 \mu\text{mol/L}$ (5 მგ/დლ-ზე) მეტად¹.

ტრანზიტორული (ფიზიოლოგიური) სიყვითლე მსუბუქი არაკონიუგირებული (არაპირდაპირი) ბილირუბინემიაა, რომელიც ვლინდება სიცოცხლის 48-120 სთ-ში.

მწვავე ბილირუბინული ენცეფალოპათია – არაპირდაპირი ბილირუბინის ტოქსიური ზემოქმედებით განპირობებული ცნს-ის დარღვევა, რომელიც ვლინდება მწვავედ ადრეულ ნეონატალურ პერიოდში.

კერნიქტერუსი – ბილირუბინის ტოქსიურობით განპირობებული ქრონიკული და პერმანენტული ხასიათის ცნს-ის დაზიანება.

ბუტანის ნომოგრამა საშუალებას იძლევა განისაზღვროს რამდენად მაღალია მძიმე ჰიპერბილირუბინემიის განვითარების რისკი ახალშობილის ასაკის (სათებში) და შრატის ბილირუბინის კონცენტრაციის გათვალისწინებით.

გაიდლაინი ბანკუმენილია

⇒ სამედიცინო პერსონალისათვის, რომელიც მუშაობს ახალშობილთან, როგორც სამშობიარო სახლში, ისე სტაციონარში – ნეონატოლოგი, პედიატრი.

გაიდლაინის სამიზნე ჯგუფი:

⇒ 35 კვირის და მეტი გესტაციური ასაკის ახალშობილები, რომელთაც განუვითარდათ ჰიპერბილირუბინემია.

⇒ გაიდლაინში არ არის განხილული 35 კვირაზე ნაკლები გესტაციური ასაკის დღენაკლულ ახალშობილთა ჰიპერბილირუბინემიის მართვა

გაიდლაინის გაცნობის შემდეგ სამედიცინო პერსონალს ეცოდინება, რომ აუცილებელია

1. ძუძუთი კვების პროპაგანდა და მხარდაჭერა.
2. საექთნო პროტოკოლების შედგენა ჰიპერბილირუბინემიის იდენტიფიკაციისა და შეფასებისათვის.
3. შსბ და ტკბ განსაზღვრა ახალშობილებში, რომელთაც სიყვითლე გამოუვლინდათ დაბადებიდან პირველ 24 სთ-ში.
4. სიყვითლის ხარისხის განსაზღვრისთვის სიყვითლის ინტენსივობის ვიზუალური შეფასებასთან ერთად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება (მხოლოდ ვიზუალური შეფასებისას ხშირია დაიგნოსტიკური შეცდომა, განსაკუთრებით მუქკანიან ახალშობილებში).

5. ბილირუბინის მაჩვენებლის ინტერპრეტაცია ახალშობილის ასაკთან (საათებში) მიმართებაში
6. ჰიპერბილირუბინემიის განვითარების მაღალი რისკის გამოვლენა და მათი მონიტორინგი.
7. მძიმე ჰიპერბილირუბინემიის განვითარების რისკის სისტემური შეფასება ყველა ახალშობილთან.
8. მშობლებისადმი წერილობითი და ზეპირი ინფორმაციის მიწოდება ახალშობილთა სიყვითლის შესახებ.
9. ახალშობილის მკურნალობა ჩვენების მიხედვით ფოტოთერაპიითა და შენაცვლებითი ტრანსფუზიით.
10. შესაბამისი ამბულატორიული მეთვალყურეობის უზრუნველყოფა, რაც ახალშობილის გაწერის დროსა და რისკის შეფასებას ეფუძნება.

გამოყენებული შემოკლებები:

შბს – შრატის საერთო ბილირუბინი
 ტკბ – ტრანსკუტანური ბილირუბინი
 ბ/ა - ბილირუბინის და ალბუმინის შეფარდება
 რდს – რესპირაციულ დისტრეს სინდრომი
 1 $\mu\text{mol/L}$ = 17,1 მგ/დლ

2. ეპიდემიოლოგია¹⁻³

ტრანზიტორული (ფიზიოლოგიური) სიყვითლე ვითარდება დღენაკლულ ახალშობილთა უმრავლესობასა და დროულ ახალშობილთა 25-50%-ში. დანიის მონაცემებით მძიმე ჰიპერბილირუბინემიის სიხშირე 35 კვირაზე მეტი გესტაციის ახალშობილებში შეადგენს 25-ს 100 000 ცოცხლადშობილზე. ჯანმოს მონაცემებით ახალშობილთა ჰემოლიზური დაავადების სიხშირე შეადგენს 1-ს ყოველ 2000-3000 ახალშობილზე.

საქართველოში ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, თუმცა 2000 წლის მაჩვენებლებით ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე გამოვლინდა ჰიპერბილირუბინემიის 5 შემთხვევა⁶³.

3. ეტიოპათოგენეზი^{1,2,4}

ჰიპერბილირუბინემია შესაძლებელია მიმდინარეობდეს არაპირდაპირი ან პირდაპირი ბილირუბინის დონის მომატებით. გაძლიერებული ჰემოლიზი, ბილირუბინის კონიუგაციის უნარის შემცირება იწვევს არაპირდაპირ ბილირუბინემიას, ხოლო ნაღვლის ექსკრეციის დარღვევა – პირდაპირ ბილირუბინემიას.

1. ტრანზიტორული სიყვითლის მიზეზები:
 - ერთროციტების და ჰემოგლობინის მაღალი შემცველობა
 - ერთროციტების სიცოცხლის ხანგრძლივობის დაქვეითება
 - ფეტალური ჰემოგლობინის შემცველი ერთროციტების ჰემოლიზი
 - ღვიძლში ბილირუბინის კონიუგაციის უნარის უმწიფრობა
 - ბილირუბინის გაზრდილი ენტეროჰეპატული ცირკულაცია
 - ღვიძლის მიერ პლაზმიდან ბილირუბინის მოხმარების შემცირება

2. პათოლოგიური სიყვითლის მიზეზები:

ერითროციტების ჰემოლიზის გაძლიერება:

- სისხლის ჯგუფური და რეზუს შეუთავსებლობა
- თანდაყოლილი მემბრანო (სფეროციტოზი და სხვ.), ფერმენტოპათია (გლუკოზა 6 ფოსფატდეჰიდროგენაზას - გნფდ - უკმარისობა და სხვ.) და ჰემოგლობინოპათია (თალასემია და სხვ.)
- პოლიციტემია
- კეფალოჰემატომა, სისხლჩაქცევები
- ინფექცია

ბილირუბინის კონიუგაციის შემცირება

- დღენაკლულობა
- იშვიათი თანდაყოლილი დაავადებები (ჟილბერის, კრიგლერ-ნაიარის სინდრომი და სხვა)
- ბილირუბინის მეტაბოლიზმის და ექსკრეციის დარღვევა (როტორის და დუბინ-ჯონსონის სინდრომი)

ბილირუბინის რეაბსორბციის გაზრდა გასტროინტესტინური ტრაქტიდან

- ასფიქსია
- კვების გვიან დაწყება, იშვიათი კვება
- ნაწლავთა ობსტრუქცია
- მეკონიუმის პასაჟის შეფერეხება

ნაღვლის ექსკრეციის დარღვევა

- ბილიარული ატრეზია
- ქოლესტაზური სინდრომი
- სეფსისი
- საშვილოსნოსშიდა ინფექცია
- ჰეპატიტი
- ცისტური ფიბროზი (მუკოვისციდოზი)

სიყვითლე ძუძუთი კვების დროს

- *დედის რძით განპირობებული (არიახის სინდრომი):* სავარაუდოა დედის რძეში არსებული ნივთიერების (არაესტერიფიცირებული ცხიმოვანი მჟავების და ჰორმონ პრეგნანის) გაგლეხა ბილირუბინის მეტაბოლიზმზე (ითრგუნება ფერმენტ გლუკურონილტრანსფერაზას აქტივობა და ბილირუბინის კონიუგაცია).
- *ძუძუთი კვების არასწორი რეჟიმით განპირობებული,* იშვიათი ძუძუთი კვების შემთხვევაში არასაკმარისი რაოდენობით რძის მიღება იწვევს ენტეროჰეპატური ცირკულაციის გაზრდას.

სიყვითლე აგრეთვე შეიძლება განპირობებული იყოს: ენდოკრინული პათოლოგიით (ჰიპოთირეოზი და სხვ.) დედასთან ან ბავშვთან ზოგიერთი მედიკამენტის გამოყენება (სულფანილამიდები, ოქსიტოცინი, ნიტროფურანები და სხვ.).

ბილირუბინის ტოქსიურობა - ბილირუბინი პოტენციური ნეიროტოქსინია. არაკონიუგირებულმა ბილირუბინმა, რომელიც არ არის დაკავშირებული ალბუმინთან, შეიძლება გაიაროს ჰემატოენცეფალური ბარიერი და თავის ტვინში გამოიწვიოს უჯრედების სიკვდილი აპოპტოზით (უჯრედების პროგრამირებული სიკვდილი) და/ან ნეკროზით. ყველაზე მეტად ზიანდება ბაზალური განგლია და თავის ტვინის ღეროს ოკულომოტორული და აუდიტორული ფუნქციების მაკონტროლებელი ბირთვები.

თუ დროულ ახალშობილებში ბილირუბინი გადაჭარბებს 428 - 513 $\mu\text{mol/L}$ (25-30 მგ/დლ), მაღალია ბილირუბინის ტოქსიური მოქმედების განვითარების რისკი. **შსბ** ტოქსიურობა ვარიაბელურია და დამოკიდებულია ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და გესტაციურ ასაკზე⁶.

მძიმე ჰიპერბილირუბინემიის განვითარების რისკ-ფაქტორები

მძიმე ჰიპერბილირუბინემიის განვითარების რისკი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტი რისკის ფაქტორია გამოხატული ახალშობილთან:

მაღალი რისკი^{1,2}

- დაბადებიდან პირველ 24სთ-ში გამოვლენილი სიყვითლე⁷.
- გაწერის წინ **შსბ** ან **ტკბ** დონე ბუტანის ნომოგრამაზე მაღალი რისკის ზონაში^{8,9}
- სისხლის ჯგუფური შეუთავსებლობა დადებითი პირდაპირი ანტიგლობულინური ტესტით, სხვა ცნობილი ჰემოლიზური დაავადება (მაგ.: გნფდ დეფიციტი),
- გესტაციური ასაკი 35-36 კვირა ^{10,11}
- და-ძმას ჩატარებული აქეს ფოტოთერაპია^{11,12}
- კეფალოჰემატომა ან მნიშვნელოვანი სისხლჩაქცევები¹⁰
- არასწორი ძუძუთი კვება, როდესაც აღენიშნება წონაში მკვეთრი კლება (>12%-ზე მეტი)^{2,10,11}

დაბალი რისკი

- გაწერის წინ **შსბ** ან **ტკბ**-ის დონე ბუტანის ნომოგრამაზე მაღალი გარდამავალი რისკის ზონაში^{8,9}
- გესტაციური ასაკი 37-38 კვირა^{10,11}
- და-ძმის ანამნეზში სიყვითლე^{11,12}
- დიაბეტით დაავადებული დედის მაკროსომული ახალშობილი
- დედის ასაკი ≥ 25 წელზე¹⁰
- მამრობითი სქესი^{10,11}

მდგომარეობები, რომლის დროსაც მძიმე ჰიპერბილირუბინემიის განვითარების რისკი ძალიან დაბალია:


- გესტაციური ასაკი ≥ 41 კვირაზე¹⁰,
- სრულყოფილი ენტერალური კვება^{10,11}
- გაწერა სტაციონარიდან 72 სთ-ის შემდეგ^{8,9,13}
- **შსბ** ბუტანის ნომოგრამაზე დაბალი რისკის ზონაში^{8,9}

4. კლინიკური სიმპტომატიკა

რემომენდაცია - სიყვითლის მონიტორინგი უნდა მოხდეს ყველა ახალშობილთან რუტინულად ვიტალური ფუნქციების შეფასებისას, არა ნაკლებ 8-12 სთ-ში ერთხელ (რემომენდაცია D)¹.

D

სიყვითლის არსებობის შეფასება უნდა მოხდეს კარგად განათებულ ოთახში, უმჯობესია დღის შუქზე ფანჯარასთან. სიყვითლე ჩვეულებრივ პირველად ვლინდება სახეზე და შემდეგ პროგრესირებს კაუდალურად სხეულსა და კიდურებზე¹⁴. სიყვითლის უკეთ განსაზღვრისათვის ტარდება კანზე თითის ზეწოლის ტესტი. ზეწოლა ლოკალურად ამცირებს კანის პერფუზიას და ხელს უწყობს სიყვითლის დიაგნოსტიკას. როდესაც ბილირუბინი 68-137 $\mu\text{mol/L}$ (4-8 მგ/დლ), ჩვეულებრივ იქტერულია სახე და სკლერა, თუ ბილირუბინი $>257 \mu\text{mol/L}$ (15 მგ/დ) სიყვითლე ვლინდება მთელ სხეულზე ხელის და ფეხისგულების ჩათვლით. **შსბ** ან **ტკბ** მიზანშეწონილია გაიზომოს, თუ სიყვითლე ვლინდება ჭიპის ქვემოთ. კრამერის მოდიფიცირებული სქემა საშუალებას იძლევა სიყვითლის გავრცელების მიხედვით ვივარაუდოთ, თუ რამდენია შრატის საერთო ბილირუბინის დონე.



კრამერის მოდიფიცირებული სქემა^{3,14}
ცხრილი 1

| ზონა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|-----------------------|-----|-----|-----|-----|--------|
| შსბ $\mu\text{mol/L}$ | 100 | 150 | 200 | 250 | >250 |

სიყვითლის ხარისხის განსაზღვრა სიყვითლის ინტენსივობის მხოლოდ ვიზუალური შეფასებით ხშირად იწვევს დიაგნოსტიკურ შეცდომას, განსაკუთრებით მუქკანიან ახალშობილებში. (რემომენდაცია C)^{1,16,17}.

C

ცხრილი 2 სიყვითლის სიმძიმის შეფასება ლოკალიზაციის მიხედვით (ჯანმო)³

| ასაკი (დღე) | სიყვითლის ლოკალიზაცია | დასკვნა |
|-------------|-----------------------|-------------------|
| 1 | ნებისმიერი* | «საშიში» სიყვითლე |
| 2 | კიდურები* | |
| ≥ 3 | ტერფები, მტეფნები | |

* სიცოცხლის I დღეს ნებისმიერ ადგილას ან II დღეს კიდურებზე გამოვლენილი სიყვითლე საჭიროებს დაუყოვნებლივ ფოტოთერაპიის დაწყებას ანალიზის პასუხის მიღებამდე.

ახალშობილთა სიყვითლის გართულებები

ახალშობილთა სიყვითლის გართულებებია მწვავე და ქრონიკული (კერნიქტერუსი) ბილირუბინული ენცეფალოპათია, რომლებიც უხშირესად ჰემოლიზური დაავადების დროს ვითარდება⁶².

მწვავე ბილირუბინული ენცეფალოპათია¹

მწვავე ბილირუბინული ენცეფალოპათიას ახასიათებს განვითარების 3 ფაზა:

1. ადრეული ფაზა ვლინდება რამდენიმე დღეში და ახასიათებს ლეთარგია, ჰიპოტონია, სუსტი წოვა და სუსტად გამოხატული “ცერებრული კივილი”.
2. გარდამავალი სტადია ვითარდება კვირის ბოლოს და ახასიათებს ზომიერი სტუპორი, აგზნებადობა და ჰიპერტონია. ახალშობილს შეიძლება აღენიშნოს ცხელება მკვეთრად გამოხატული “ცერებრული კივილი”. ჰიპერტონია ვლინდება კისრის (რეტროკოლისი) და სხეულის (ოპისტოტონუსი) უკან რკალისებურად გადახრით.
3. ბოლო სტადია ვლინდება 1 კვირის შემდეგ, ამ დროს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება შეუქცევადია, მას ახასიათებს მკვეთრი რეტროკოლისი და ოპისტოტონუსი, მკვეთრად გამოხატული “ცერებრული კივილი”, აპნოე, ცხელება, საკვების აუტანლობა, ღრმა სტუპორი კომამდე, ზოგჯერ კრუნჩხვები და სიკვდილი.^{18;19}

კერნიქტერუსი^{1,47}

მწვავე ბილირუბინული ენცეფალოპათიის შემდეგ გადარჩენილ ახალშობილს სიცოცხლის პირველი წლის მანძილზე უვითარდება ბილირუბინული ენცეფალოპათიის მძიმე ქრონიკული ფორმა, რომელიც 3 ძირითადი გამოვლინებით ხასიათდება¹⁸⁻²⁰

- მოტორული დარღვევები - ათეტოიდური ცერებლური დამბლა, ტრემორი, ქორეა
- მხედველობის დარღვევები
- სმენითი დისფუნქცია

ინტელექტუალური დარღვევები შედარებით იშვიათია.

კერნიქტერუსის დროს 70%-ში აღინიშნება ნევროლოგიური დარღვევები და 10%-ში სიკვდილობა.

დიფერენციული დიაგნოზი:

ახალშობილთა სიყვითლის დროს უნდა განისაზღვროს სიყვითლე ფიზიოლოგიურია თუ პათოლოგიური³.

| ფიზიოლოგიური სიყვითლე | პათოლოგიური სიყვითლე |
|--|--|
| ვლინდება არა უადრეს 2 დღისა და ქრება მე-10-14 დღისთვის | ვლინდება პირველ 24 საათში ან 7 დღის შემდეგ |
| გავრცელება არ აღემატება კრამერის 1-3 ზონებს | გავრცელება: კრამერის ნებისმიერი ზონა სიცოცხლის I დღეს, 4 ზონა სიცოცხლის II დღეს და 5 ზონა ნებისმიერ ასაკში |
| ბავშვი აქტიურია, ტემპერატურა ნორმალურია, წოვის რეფლექსი კარგია | ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი ან დარღვეული |
| შარდის და განავლის ფერი არ იცვლება | შეიძლება იყოს შარდის და განავლის ფერის ცვლილება |
| ღვიძლი და ელენთა არ არის გადიდებული | შეიძლება იყოს ჰეპატოსპლენომეგალია |

ახალშობილთა ფიზიოლოგიური სიყვითლის დროს ბილირუბინის შემცველობის პიკური დონე სიცოცხლის III დღისთვის უხშირესად 85,5-136,8 $\mu\text{mol/L}$ (5-8 მგ/დლ-ია), შემდეგ ხდება მისი დონის დაქვეითება. 205,2 $\mu\text{mol/L}$ -მდე (12 მგ/დლ) მატება ფიზიოლოგიურად ითვლება. 35-37 კვირის გესტაციური ასაკის ახალშობილებში ბილირუბინის დონემ შეიძლება მაქსიმუმს მიაღწიოს დაბადებიდან მე-7 დღეს.


არაკონიუგირებული ჰიპერბილირუბინემიის უფრო მაღალი დონე სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობების დროს ვლინდება².

დედის რძით განპირობებული სიყვითლის სადიაგნოსტიკოდ (სამკურნალოდ) შეიძლება შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება⁵:

- დედის რძით განპირობებული სიყვითლე ვლინდება მე-4-14 დღეს
- 24-48სთ-ის განმავლობაში ძუძუთი კვების შეწყვეტა და ალტერნატიულ საკვების მიწოდება იწვევს ბილირუბინის დონის დაქვეითებას.

ახალშობილთა ჰიპერბილირუბინემიის დიფდიაგნოზი იხ. ალგორმითი 1.

ახალშობილთა ჰიპერბილირუბინემიის დიფერენციული დიაგნოზის ალგორითმი



5. ღააკვადების დიაბნოზი:

დიაბნოზი ეფუძნება კლინიკურ გამოვლინებას – კანისა და ხილული ლორწოვანი გარსების სიყვითლეს, ბილირუბინემიული ენცეფალოპათიის ნიშნებს და ჰიპერბილირუბინემიას.

6. ბამოკვლავის სქემა^{1,15}


რეკომენდაცია¹:

- ტკბ და/ან შსბ უნდა განესაზღვროს ყველა ახალშობილს, რომელსაც სიყვითლე გამოუვლინდა სიცოცხლის პირველ 24სთ-ში (რეკომენდაცია C)⁷. C
- ტკბ და/ან შსბ უნდა განესაზღვროს ყველა ახალშობილს, რომელსაც გამოუვლინდა ასაკთან შეუსაბამო მკვეთრი სიყვითლე (რეკომენდაცია D). D
- ბილირუბინის დონის შეფასება უნდა მოხდეს ახალშობილის ასაკის (საათებში) გათვალისწინებით (სქემა 1) (რეკომენდაცია C). C
- თუ ახალშობილს უტარდება ფოტოთერაპია ან აღენიშნება ბილირუბინის სწრაფი მატება (სქემა 1 – მონაცემი კვეთს პერცენტილებს), რაც არ აიხსნება ობიექტური გამოკვლევით და ანამნეზური მონაცემებით, საჭიროა სიყვითლის შესაძლო მიზეზების დადგენა (რეკომენდაცია D). D
- ახალშობილებს რომელთაც აღენიშნებათ პირდაპირი (კონიუგირებული) ბილირუბინის მატება უნდა ჩაუტარდეთ შარდის საერთო და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა²¹ დამატებითი ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩატარდეს თუ ანამნეზით და ობიექტური გამოკვლევებით საეჭვოა სეფსისი (რეკომენდაცია C). C
- თუ პირდაპირი ან კონიუგირებული ბილირუბინის დონე მომატებულია, რეკომენდირებულია დამატებითი გამოკვლევები ქოლესტაზის სადიაგნოსტიკოდ (რეკომენდაცია C). C
- ავადმყოფ ახალშობილებსა და ჩვილებს, რომელთაც აღენიშნებათ სიყვითლე 3 კვირის ან უფრო მოგვიანებით ასაკში, უნდა განესაზღვროთ საერთო და პირდაპირი (კონიუგირებული) ბილირუბინი ქოლესტაზის სადიაგნოსტიკოდ (ცხრილი 3) (რეკომენდაცია D). ასეთ ახალშობილებთან მიზანშეწონილია სკრინინგი ჰიპოთირეოზსა და გალაქტოზემიაზე (რეკომენდაცია D) D
- გლუკოზა-ნ-ფოსფატ დეჰიდროგენაზას დონის განსაზღვრა საჭიროა იმ ახალშობილებთან, რომელთა ოჯახური ანამნეზი ან ეთნიკური ან გეოგრაფიული წარმოშობა მიუთითებს გნფდ-ს დეფიციტზე და უტარდებათ ფოტოთერაპია და/ან ახალშობილებთან, თუ ფოტოთერაპია უეფექტოა. (სქემა 3) (რეკომენდაცია C). C

ცხრილი 3: 35 და მეტი გესტაციური ასაკის ახალშობილში გამოვლენილი სიყვითლის ლაბორატორიული შეფასება^{1,22}

| ჩვენება | ლაბორატორიული კვლევა |
|--|---|
| პირველ 24 სთ-ში გამოვლენილი სიყვითლე | <ul style="list-style-type: none"> • ტკბ და/ან შსბ განსაზღვრა |
| ასაკისათვის შეუსაბამო მკვეთრი სიყვითლე კანზე | <ul style="list-style-type: none"> • ტკბ და/ან შსბ განსაზღვრა |
| ახალშობილს უტარდება ფოტოთერაპია ან აღენიშნება ბილირუბინის სწრაფი მატება (ნამატი >8.5 $\mu\text{mol/L/სთ}$ ან 0.5 mg/dl/სთ) (ბუტანის ნომოგრამაზე მაჩვენებელი კვეთს პერცენტილებს), რაც არ აიხსნება ობიექტური გამოკვლევით და ანამნეზური მონაცემებით | <ul style="list-style-type: none"> • სისხლის ჯგუფი და რეზუსი კუმბსის ტესტი, თუ არ არის გაკეთებული ჭიპლარის სისხლში • სისხლის საერთო ანალიზი, და ნაცხი ფორმიანი ელემენტების მორფოლოგიის შესასწავლად • პირდაპირი (კონიუგირებული) ბილირუბინის განსაზღვრა • თუ შესაძლებელია, ისაზღვრება რეტიკულოციტების რიცხვი, გნფდ • შსბ განმეორებით ისაზღვრება 4-24 სთ-ში, ახალშობილის ასაკისა და შსბ დონის შესაბამისად |
| ფოტოთერაპია უშედეგოა ან შსბ აღწევს დონეს, რომელზეც ნაჩვენებია შენაცვლებითი ტრანსფუზია | <ul style="list-style-type: none"> • თუ შესაძლებელია, ისაზღვრება რეტიკულოციტების რიცხვი, გნფდ • შესაძლებელია საჭირო გახდეს ჰემატოკრიტის და ალბუმინის განსაზღვრა |
| მომატებულია პირდაპირი (კონიუგირებული) ბილირუბინის დონე | <ul style="list-style-type: none"> • შარდის ანალიზი • შარდის კულტურა • გამოკვლევა სეფსისზე, თუ მისი არსებობა საეჭვოა ანამნეზით ან ობიექტური გამოკვლევით |
| სიყვითლე სამი კვირის ასაკის ან ავადმყოფ ახალშობილში | <ul style="list-style-type: none"> • საერთო და პირდაპირი (კონიუგირებული) ბილირუბინი • პირდაპირი ბილირუბინის მომატებისას ტარდება კვლევა ქოლესტაზის სადიაგნოსტიკოდ • სკრინინგი ჰიპოთირეოზსა და გალაქტოზემიაზე • ახალშობილის შეფასება ჰიპოთირეოზის სიმპტომების გამოსავლენად |

სქემა 1. ბუტანის ნომოგრამა



ბუტანის ნომოგრამა საშუალებას იძლევა განისაზღვროს, რამდენად მაღალია მძიმე ჰიპერბილირუბინემიის განვითარების რისკი ახალშობილის ასაკის (საათებში) და შრატის ბილირუბინის კონცენტრაციის გათვალისწინებით.

ბილირუბინის განსაზღვრა

ბილირუბინი ისაზღვრება ტრანსკუტანურად და სისხლის შრატში.

ტრანსკუტანური განსაზღვრა გამართლებულია, როგორც სკრინინგის მეთოდი. ის ისაზღვრება სპეციალური აპარატით. აღნიშნული ხელსაწყოს გამოყენებით ბილირუბინის განსაზღვრა შესაძლოა 34-54 μmol/L (2-3 მგ/დლ) ვარიაციებით. ბევრ შემთხვევაში ხდება შრატის ბილირუბინის განსაზღვრის ჩანაცვლება ტრანსკუტანური განსაზღვრით, განსაკუთრებით მაშინ, როცა შსბ < 257 μmol/L (15 მგ/დლ)²³⁻²⁸.

შრატის პირდაპირი ბილირუბინის მაჩვენებელი არ უნდა გამოაკლდეს საერთო ბილირუბინის მაჩვენებელს ფოტოთერაპიასა და შენაცვლებით ტრანსფუზიაზე გადაწყვეტილების მიღების დროს.

7. მკურნალობის სქემა

პირველადი პროფილაქტიკა რეკომენდაცია¹

- ექიმმა უნდა ურჩიოს დედას განახორციელოს მოთხოვნები ძუძუთი კვება დღეში 8-12-ჯერ (რეკომენდაცია C)³⁰. - არასრულყოფილი კალორიების მიღებამ და/ან დეჰიდრატაციამ, შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერბილირუბინემიის განვითარება^{31,32}. C
- ძუძუთი კვების შემთხვევაში, თუ ახალშობილს არ აღენიშნება დეჰიდრატაცია, არ არის რეკომენდირებული წყლისა და დექსტროზის რუტინულად დამატება (რეკომენდაცია: B და C). - წყლის და დექსტროზის დამატება არ ახდენს ჰიპერბილირუბინემიის განვითარების პროფილაქტიკასა და შსბ-ს შემცირებას³³. B
- ყველა Rh (D) ნეგატიურ ორსულს ან მელოგინეს მიზანშეწონილია ჩაუტარდეს ანტი D იმონოგლობულინით პროფილაქტიკა (რეკომენდაცია A)³³: C
 - ორსულობის 28 კვირაზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვის მამაც Rh (D) ნეგატიურია)
 - მშობიარობიდან 72 სთ-ის გამნავლობაში, თუ ახალშობილი Rh (D) პოზიტიურია
 - ორსულობის პირველ ტრიმესტრში განვითარებული აბორტის და ინვაზიური პროცედურების დროს როგორცა: ამნიოცენტეზი, ნაყოფის ინვაზიური პროცედურები.A

მეორადი პროფილაქტიკა

რეკომენდაცია: კლინიციკტმა უნდა მოახდინოს ახალშობილთა ჰიპერბილირუბინემიის განვითარების რისკების სისტემური შეფასება ნეონატალურ პერიოდში (რეკომენდაცია B)¹. B

სისხლის ჯგუფობრიობა

რეკომენდაცია¹

- ყველა ორსული ქალი უნდა იყოს გამოკვლეული ABO და Rh(D) სისხლის ჯგუფებზე და პქონდეს ჩატარებული სკრინინგი შრატში იზოიმუნურ ანტისხეულებზე (რეკომენდაცია B). B
- თუ დედას არ ჩაუტარებია პრენატალურად სისხლის ჯგუფის და რეზუსის გამოკვლევა ან იგი Rh ნეგატიურია, მკაცრად არის რეკომენდირებული პირდაპირი ანტისხეულების ტესტის (ან კუმბსის ტესტი), სისხლის ჯგუფის და Rh (D) ტიპის განსაზღვრა ახალშობილის (ჭიპლარის) სისხლში. (რეკომენდაცია B). B
- თუ დედას სისხლის ჯგუფი არის O, Rh(D) პოზიტიური ახალშობილის სისხლის ჯგუფის და პირდაპირი ანტისხეულის ტესტის განსაზღვრის აუცილებლობა დამოკიდებულია მეთვალყურეობის ხარისხზე, გაწერის წინ რისკის შეფასებასა და გაწერის შემდეგ მეთვალყურეობაზე. (რეკომენდაცია C). C

მკურნალობის ძირითადი პრინციპებია:

- ფოტოთერაპია
- შენაცვლებითი ტრანსფუზია

მკურნალობა იწყება ფოტოთერაპიით.

ფოტოთერაპია

ფოტოთერაპიის დროს კანის ზედა შრეებში ჩალაგებული არაპირდაპირი ბილირუბინი იშლება ფოტოქიმიური გზით წყალში ხსნად კონიუგატებად, რომლებიც გამოიყოფა შარდით და ნაღველით.

რეკომენდაცია: ყველა სამშობიარო სახლი უნდა იყოს აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც საჭიროა ინტენსიური ფოტოთერაპიისათვის (რეკომენდაცია D)¹.



ფოტოთერაპიის ჩვენებები

ფოტოთერაპია იწყება თუ ბულირუბინის დონე აღემატება 95 პერცენტილს ბუტანის ნომოგრამაზე (სქემა 1), ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანია რისკ-ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ხელს უწყობს მძიმე ჰიპერბილირუმიემიას (ჰემოლიზური დაავადება, გნფდ დეფიციტი, ასფიქსია, მკვეთრად გამოხატული ლეთარგია, ტემპერატურის არასტაბილურობა, სეფსისი, აციდოზი ან ჰიპოალბუმინემია <3,0 გ/დლ).

ამერიკის პედიატრიული აკადემიის რეკომენდაციით გამოიყენება სქემა (სქემა 2), რომელიც ახალშობილის ასაკსა და ბილირუბინის დონესთან ერთად ითვალისწინებს რისკ-ფაქტორებსა და გესტაციურ ასაკს. მოცემული სქემის მიხედვით “ინტენსიური” ფოტოთერაპია იწყება, შემდეგი პრინციპებით:

- დაბალი რისკის ახალშობილი* (ჯანმრთელი, რისკ-ფაქტორების გარეშე, გესტაცია ≥ 38 კვირა) – შსბ >12 მგ/დლ (205 $\mu\text{mol/L}$) 24 სთ-ში, შსბ >15 მგ/დლ (257 $\mu\text{mol/L}$) 48 სთ-ში, შსბ >18 მგ/დლ (308 $\mu\text{mol/L}$) >72 სთ.
- საშუალო რისკის ახალშობილი (გესტაცია ≥ 38 კვირა და რისკ-ფაქტორები, ან გესტაცია 35-37 კვირა რისკ-ფაქტორების გარეშე გარეშე) – შსბ > 10 მგ/დლ (171 $\mu\text{mol/L}$) 24 სთ-ში, შსბ >13 მგ/დლ (222 $\mu\text{mol/L}$) 48 სთ-ში, შსბ >15 მგ/დლ (257 $\mu\text{mol/L}$) >72 სთ. გესტაციის 35 კვირის ახალშობილებში ფოტოთერაპია შეიძლება დაიწყოს უფრო დაბალ მაჩვენებლებზე.
- მაღალი რისკის ახალშობილი (გესტაცია 35-37 კვირა და რისკ-ფაქტორები) - შსბ > 8 მგ/დლ (137 $\mu\text{mol/L}$) 24 სთ-ში, შსბ >11 მგ/დლ (188 $\mu\text{mol/L}$) 48 სთ-ში, შსბ >13.5 მგ/დლ (231 $\mu\text{mol/L}$) >72 სთ.


* თუ დაბალი რისკის ახალშობილებში შსბ დონე 2-3 მგ/დლ-ით დაბალია მოყვანილ მონაცემებზე, შესაძლებელია მკურნალობის დაწყება “ჩვეულებრივი” ფოტოთერაპიით

- სტაციონარში გამოხატული სიყვითლით შემოსულ ახალშობილს უტარდება “ინტენსიური” ფოტოთერაპია ბილირუბინის მაჩვენებლის განსაზღვრამდე
- “ინტენსიური” ფოტოთერაპია ასევე რეკომენდებულია ჰემოლიზური დაავადების დროს³⁵

სქემა 2. ფოტოთერაპიის გაიდლინი 35 კვირის და მეტი გესტაციური ასაკის ჰოსპიტალიზებულ ახალშობილებში¹

D

ფოტოთერაპიის გაიდლინი 35 კვირის და მეტი გესტაციური ასაკის ჰოსპიტალიზებულ ახალშობილებში



- საერთო ბილირუბინი, არ გამოაკლოთ პირდაპირი (კონიუგირებული ბილირუბინი)
- რისკ-ფაქტორები – იზოიმუნური ჰემოლიზური დაავადება, გნფდ დეფიციტი, ასფიქსია, გამოსატული ლეთარგია, ტემპერატურის არასტაბილურობა, სეფსისი, აციდოზი, ან ალბუმინი <3,0 გ/დლ
- ჯანმრთელ 35-37 კვირის გესტაციური ასაკის ახალშობილებში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს, როდესაც შსბ მანვენებელი საშუალო რისკის ზონაშია, 35 კვირის გესტაციური ასაკის ახალშობილებში - შსბ დაბალი მანვენებლის, ხოლო 37 კვირის გესტაციური ასაკის ახალშობილებში - შსბ მაღალი მანვენებლის დროს

რეკომენდაცია: თუ შრატის ალბუმინის მანვენებელი ნაკლებია 3.0 გ/დლ-ზე, ფოტოთერაპიის დაწყება რეკომენდებულია უფრო დაბალი მანვენებლების დროს (რეკომენდაცია D)¹.

D

ჯანმოს რეკომენდაცია ფოტოთერაპიის დაწყების ჩვენებების შესახებ მოცემულია ცხრილში 4.

ცხრილი 4. ფოტოთერაპიის ჩვენება შსბ მიხედვით (ჯანმო)³

| ასაკი (დღე) | დროული ჯანმრთელი | | ნებისმიერი რისკ-ფაქტორის მქონე ახალშობილი* | |
|-------------|---------------------|--------|--|--------|
| | მგ/დლ | μmol/L | მგ/დლ | μmol/L |
| I | გამოსატული სიყვითლე | | | |
| II | 15 | 260 | 13 | 220 |
| III | 18 | 310 | 16 | 270 |
| IV და მეტი | 20 | 340 | 17 | 290 |

თუ არ არის ბილირუბინის განსაზღვრის საშუალება შსბ სავარაუდო დონის დასადგენათ შეიძლება კრამერის მოდიფიცირებული სქემის გამოყენება. ჯანმოს რეკომენდაციით ფოტოთერაპია იწყება, თუ სიყვითლის ლოკალიზაციის მიხედვით სიყვითლის სიმძიმის შეფასებისას (ცხრილი 1) დადგინდა “საშიში სიყვითლე”.

ფოტოთერაპიის უპიკვნება:

- პირდაპირი (კონიუგირებული) ჰიპერბილირუბინემია (პირდაპირი ბილირუბინი შსბ-ს 50%-ზე მეტია)^{1,36}
- თანდაყოლილი პორფირია ან პორფირიის ოჯახური ანამნეზი^{1,37}.

ფოტოთერაპიის ტექნიკა¹

ფოტოთერაპიის ეფექტურობა დამოკიდებულია **დოზაზე**. ფოტოთერაპიის დოზა ანუ სპექტრული ირადიაცია დამოკიდებულია ნათურის სიმძლავრეზე, სინათლის წყაროსა და ბავშვს შორის მანძილსა და დასხივების ფართობზე.

სინათლის წყარო

ფოტოთერაპიის სინათლის სპექტრი დამოკიდებულია სინათლის წყაროზე და ფილტრზე. ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფოტოთერაპიის მოწყობილობა შეიცავს დღის შუქის, გრილ თეთრ, ცისფერ, ან “სპეციალურ ცისფერ” ფლუორესცენტულ ნათურებს.

მანძილს სინათლის წყაროდან ახალშობილამდე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სასურველია ახალშობილი მოთავსდეს სინათლის წყაროდან იმ მინიმალურ მანძილზე, რომელიც მითითებულია ფოტოთერაპიის მოწყობილობის ინსტრუქციაში³⁸. ჰალოგენის ფოტოთერაპიის ნათურები არ შეიძლება მოთავსდეს ახალშობილთან ახლოს, რადგან შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა.

სხეულის ზედაპირის ფართობი

ბილირუბინის მაღალი შემცველობისას, მნიშვნელოვანია ფოტოთერაპიის დროს დასხივდეს სხეულის ზედაპირის რაც შეიძლება მეტი ფართობი.

“ჩვეულებრივი ფოტოთერაპია” - სინათლის სპექტრის ირადიაცია დაბალია ($6-12 \mu\text{W}/\text{cm}^2/\text{nm}$) (ტალღის სიგრძე დაახლოებით $425-475 \text{ nm}$) და დამოკიდებულია სხვადასხვა მწარმოებლის მიერ მოწოდებულ ფოტოთერაპიის სისტემის აპარატის მონაცემებზე. საჭიროა აპარატის შემოწმება, შეესაბამება თუ არა სინათლის სპექტრის ირადიაცია მწარმოებლის მიერ მოწოდებულ მონაცემებს.

“ინტენსიური ფოტოთერაპია” - ლურჯ-მწვანე სპექტრის ირადიაცია (ტალღის სიგრძე დაახლოებით $430-490 \text{ nm}$) სულ ცოტა $30 \mu\text{W}/\text{cm}^2/\text{nm}$ -ია (ისაზღვრება ახალშობილის კანზე ფოტოთერაპიის აპარატის ცენტრის ქვეშ). გაზომვა ხდება იმ წარმოების რადიომეტრით რომელიც მოწოდებულია ფოტოთერაპიის სისტემის აპარატის მწარმოებლის მიერ³⁹. სინათლის ტალღის ასარეკლად თეთრეული უნდა იყოს თეთრი, ინკუბატორი და საწოლის გვერდები დაიფაროს თეთრი ქსოვილით ან ალუმინის ფოლგით⁴⁰.

ფოტოთერაპიის პროცედურა და მონიტორინგი³

- ტემპერატურა სინათლის წყაროს ქვეშ უნდა იყოს $28-30^{\circ}\text{C}$.
- ფოტოთერაპიის დროს ბავშვი უნდა იყოს შიშველი, ეცვას ერთჯერადი ჰიგიენური საფენი, თვალებზე უნდა ჰქონდეს დამცავი სათვალე.
- ყოველ 3 საათში ერთხელ ბავშვს უნდა შეუცვალონ პოზიცია.
- ყოველ 3 საათში ერთხელ უნდა შეფასდეს სინათლის წყაროს ქვეშ არსებული ტემპერატურა და ახალშობილის სხეულის ტემპერატურა. თუ ბავშვის $t > 37,5^{\circ}\text{C}$ საჭიროა ოთახის ტემპერატურის დაქვეითება ან ფოტოთერაპიის დროებით შეწყვეტა, სანამ ბავშვის ტემპერატურა არ იქნება ნორმის ფარგლებში ($36,5-37,5^{\circ}\text{C}$).
- ფოტოთერაპია მიმდინარეობას მუდმივად, იგი წყდება მხოლოდ იმ პროცედურების დროს, რომელთა წარმოება არ შეიძლება სინათლის წყაროს ქვეშ.
- ცენტრალური ციანოზის არსებობის შესაფასებლად ფოტოთერაპია უნდა შეწყდეს მცირე დროით
- ფოტოთერაპიის დროს უნდა გაგრძელდეს ბავშვის კვება:

- ⇒ ახალშობილთან უნდა გაგრძელდეს ძუძუთი კვება მოთხოვნილების მიხედვით (ინტერვალი კვებათა შორის არაუმეტეს 3 სთ-ისა) *(რეკომენდაცია C)*. ძუძუთი კვების დროს წყდება ფოტოთერაპია და შესაბამისად ბავშვს უნდა მოეხსნას დამცავი სათვალე.
- ⇒ თუ ბავშვი იკვებება გამოწვევლილი რძით, ფორმულით ან პარენტერალურად, მისაწოდებელი საკვების ან სითხის რაოდენობა იზრდება დღიური ნორმის 10 %-ით.
- ⇒ თუ ბავშვი იკვებება ზონდით ან პარენტერალურად, ფოტოთერაპია მიმდინარეობს უწყვეტად.
- ⇒ ფოტოთერაპიის დროს ახალშობილს არ ესაჭიროება რუტინულად დამატებით სითხის ან საკვების მიწოდება. დამატება ნაჩვენებია მხოლოდ არაეფექტური ძუძუთი კვების, სხეულის მასის პათოლოგიური დანაკარგის (>10%-ზე მესამე დღისთვის) და დეჰიდრატაციის შემთხვევაში.

ფოტოთერაპიის დროს ბილირუბინის დაშლის პროდუქტები გამოიყოფა შარდით და ნაღველით, ადექვატური ჰიდრატაციის შენარჩუნება და შესაბამისად ადექვატური დიურზის შენარჩუნება ზრდის ფოტოთერაპიის ეფექტურობას.

ზოგიერთ ახალშობილს ჰიპერბილირუბინემიით აღენიშნება დეჰიდრატაცია და საჭიროა დამატებითი სითხის მიწოდება (per-os ან ინტრავენურად) დეჰიდრატაციის კორექციისათვის.

არაეფექტური ძუძუთი კვების შემთხვევაში ფოტოთერაპიის დროს ახალშობილს დამატებით მიეწოდება გამოწვევლილი დედის რძე, დონორის რძე ან ხელოვნური საკვები.

- ⇒ ადექვატურ კვებაზე მიუთითებს 4-6 სველი საფენი 24 სთ-ში და ნაწლავთა მოქმედება 3-4 ჯერ/დღეში სიცოცხლის მეოთხე დღისათვის.

ჯანმრთელი დროული ახალშობილის ნაწლავთა მოქმედება და დიურეზი (მინიმალური მაჩვენებლები) ⁴¹ ცხრილი 5

| დღე | ნაწლავთა მინიმალური მოქმედება/24სთ | სველი საფენი/24სთ |
|-----|------------------------------------|-------------------|
| 1 | 1 | 1 |
| 2 | 1 | 2 |
| 3 | 1 | 3 |
| 4 | 2 ყვითელი ფაფისებრი | 4 |
| 5 | 2 ყვითელი ფაფისებრი | 5-6 |

- ⇒ დეჰიდრატაციაზე მიუთითებს შემდეგი ნიშნების არსებობა⁵
 - მასის პათოლოგიური კლება (>10%-ზე მესამე დღისთვის)
 - ანურია 4-6 სთ
 - ჩაცვნილი თვალები
 - ჩავარდნილი ყოფლიბანდი
 - დაქვეითებული კანის ელასტიურობა (კანის ნაოჭი სწორდება ნელა)
 - დაქვეითებული კანის კაპილარული ავსება (>3 წმ)
 - ტაქიკარდია
 - შრატის $Na >145$, $HCO_3 <17$

ბილირუბინის მონიტორინგი ფოტოთერაპიის დროს¹

ფოტოთერაპიის ეფექტურობაზე მიუთითებს საწყისი ბილირუბინის მაჩვენებლის შემცირება 6-20%-ით სტანდარტული⁴² და 30-40%-ით ინტენსიური^{8,43} ფოტოთერაპიის დაწყებიდან 24სთ-ში.

ფოტოთერაპიის დროს კანის ვიზუალური შეფასებასთან ერთად აუცილებელია შრატის ბილირუბინის განსაზღვრა, რადგან ფოტოთერაპია “ათეთრებს” კანს¹.

- თუ შსბ 342–428 $\mu\text{mol/L}$ (20–25 მგ/დ), განმეორებითი განსაზღვრა – 3-4 სთ-ში,
- თუ შსბ <342 $\mu\text{mol/L}$ (20 მგ/დ), განმეორებითი განსაზღვრა ხდება 4–6 სთ-ში, თუ შსბ აგრძელებს დაქვეითებას განმეორებითი განსაზღვრა 8-12 სთ-ში.
- თუ შსბ არ მცირდება ან უახლოვდება შენაცვლებითი ტრანსფუზიის ჩვენების დონეს ან შსბ/ალბუმინის შეფარდება აჭარბებს ცხრილში მოცემულ დონეს (იხ. ცხრილი 6), იწყება შენაცვლებითი ტრანსფუზია, თუ ამის საშუალება არის ან ხორციელდება **რეშერალი**
- ინტენსიურ ფოტოთერაპიის მიუხედავად შსბ-ის უცვლელი დონე ან მატება, მიუთითებს ჰემოლიზზე.
⇒ ანემია/ჰემოლიზის შეფასება⁵ შესაძლებელია სისხლის საერთო ანალიზის მიხედვით - Hgb < 130 გ/ლ, Hct < 40%, რეტიკულოციტები - > 6%
- შსბ < 13–14 mg/dL (239 $\mu\text{mol/L}$), **ფოტოთერაპია წყდება**
- ფოტოთერაპიის შეწყვეტიდან 24 სთ-ში კონტროლდება შსბ, თუ შსბ მოიმატა იმ დონემდე, რომელზეც დაიწყო ფოტოთერაპია, ფოტოთერაპია განმეორებით იწყება⁸.

ფოტოთერაპიის დროს კანში ჩალაბებული ბილირუბინი სწრაფად იშლება, ამიტომ არ არის რეკომენდებული კანის შერბე დაყრდნობით შრატში ბილირუბინის დონის შესაფასება როგორც ფოტოთერაპიის დროს, ისე მისი შეწყვეტიდან 24 სთ-ის განმავლობაში.

ფოტოთერაპიის გართულებები

ფოტოთერაპიის გართულებები^{1,2}:

- ⇒ მწვანე ფერის განავალი/დიარეა (მკურნალობას არ საჭიროებს)
- ⇒ დეჰიდრატაცია
- ⇒ მუცლის შებერვა (მკურნალობას არ საჭიროებს)
- ⇒ თვალის შესაძლო დაზიანება

